# ჰადისებს ვსწავლობ

# სიყვარულს ვუზიარებთ



თუ რომელიმე თქვენგანს და-ძმა უყვარს, უთხრას მას! (ჰადისი შერიფი)


muslim GEORGIA international charity foundation

გამომცემლობა თ თიმაში ბავშვები



# ჰადისებს ვსწავლობ

## 2 სიყვარულს ვუზიარებთ






ავტორი:
ნურ ქუთლუ
(ბავშვთა განვითარებისა და განათლების დოქტორი)



ქართულად თარგმნა:
ნინო კახაძე

მხატვარი:
აიშე ქითილი

გამოცემის ხელმძღვანელი:
სავაშ ოზდემირი

მთავარი რედაქტორი:
შებნემ ქანოღლუ

რედაქტორი:
არზუ დემირი

გარეკანი და შიდა დიზაინი:
სეფერ ქოჩაქი

გამომცემლობა
თიმაში ბავშვები





# ახლა ზეინეფისა და თარიქის გაცნობის დროა!

ზეინეფი ბაღში, თარიქი კი პირველ კლასშია. მათ ჩვენი შუამავალი, ხზ. მუჰამმედი (ს.ა.ვ.) ძალიან უყვართ. სახლში ჰადისების ყუთი აქვთ. მათი მშობლები ქაღალდზე ჰადისებს წერენ და შემდეგ ამ ყუთში ათავსებენ. ჰადისები, ჩვენი შუამავლის ნაბრძანები ლამაზი და აღმზრდელობითი შინაარსის სიტყვებია. ზეინეფი და თარიქი ყოველი კვირის განმავლობაში თითო ჰადისს სწავლობენ. თავდაპირველად "სალლალლაჰუ ალეიჰი ვესელლემ (ალლაჰის სალათი და სალამი მას)" წარმოთქმით ჩვენს შუამავალს ესალმებიან, შემდეგ ყუთიდან ერთ ჰადისს იღებენ. ჰადისის მნიშვნელობას უფროსებს ეკითხებიან და შემდეგ კი ცდილობენ ჰადისის შესაბამისად მოიქცნენ. ასეთი ქმედებით სურთ ჩვენი შუამავლის მსგავსად, ალლაჰის საყვარელი ადამიანები გახდნენ.







ერთ დილას ზეინეფმა
ტირილით თქვა:
–ბაღში წასვლა
არ მინდა, არავის
ვუყვარვარ!
დედა თავზე
მოეფერა.
–ასე ნუ ფიქრობ,
დარწმუნებული
ვარ, შენს მეგობრებს
ძალიან უყვარხარ!
თუნდაც თულაის.



–ვფიქრობ მასაც არ ვუყვარვარ!

თარიქს და შეეცოდა. შეეცადა როგორმე დაეწყნარებინა. მოიფიქრა ყუთიდან ჰადიდი ამოეღო და მასზე საუბრით პატარა გაემხიარულებინა.





მალე თარიქი ჰადისთ ხელში დედასთან და ზეინეფთან დაბრუნდა. მათ ყუთიდან ამოღებული ასეთი ჰადისი წაუკითხა:

## –"თუ რომელიმე თქვენგანს და-ძმა უყვარს, უთხრას მას!"

დედამ უთხრა:
–შვილებო, და-ძმაში მხოლოდ დედმამიშვილი არ იგულისხმება. დიდი ღმერთი და ჩვენი შუამავალიც ასე ბრძანებს: "ყველა მუსლიმი ერთმანეთის და-ძმაა!"



თარიქს, ჩვენი შუამავლის ნაბრძანების შესრულება უნდოდა. დედას ლოყაზე აკოცა და უთხრა:

## –დედიკო, ძალიან მიყვარხარ!





დედამ:

## –მეც მიყვარხარ, ჩემო პატარავ!

უთხრა და გაუღიმა.

შემდეგ ზეინეფს მიუბრუნდა.
–ნახე, ჩვენს შუამავალს, ჩვენთვის რა ლამაზი სიბრძნე უსწავლებია! თულაიას, პირველმა შენ შეგიძლია უთხრა, რომ გიყვარს.
ზეინეფმა ჩვენი შუამავლის ნაბრძანების შესრულება გადაწყვიტა. შემდეგ კი, თავის ძმასავით დედას ლოყაზე აკოცა.
–დედიკო მიყვარხარ!
მადლობა, –უთხრა დედამ.
ზეინეფი უკვე იღიმებოდა.







საუზმის შემდეგ, ზეინეფი და თარიქი ბაღში და სკოლაში წასასვლელად გაემზადნენ. დედამ ისინი კარამდე მიაცილა, შემდეგ კი ფანჯრასთან მივიდა და ბავშვებს გადახედა. ზეინეფმა ბაღის ავტობუსში დაჯდომამდე დედას ხელი დაუქნია. გზაში ფიქრობდა, რომ ბაღში უკვე რამდენიმე ადამიანი უყვარდა. მძღოლმა თქვა: **ბაღში მოვედით!**

**ზეინეფმა აიღო ჩანთა და ავტობუსიდან ჩავიდა.**



მძღოლმა თქვა: ბაღში მოვედით!
ზეინეფმა აიღო ჩანთა და ავტობუსიდან ჩავიდა.





ის ბაღის კართან მასწავლებელს შეხვდა. მასწავლებელი მიესალმა.

## –გამარჯობა ზეინეფ!

–უთხრა და ლოყაზე აკოცა.

შემდეგ მასწავლებელმა გაიღიმა და თქვა:

–რა კარგია! ჩემი საყვარელი მოსწავლეები თითო–თითო მოდიან.



ზეინეფმა იგრძნო, რომ მასწავლებელს, ის და მისი მეგობრები, ძალიან უყვარდა. ისე გაუხარდა, თითქოს შოკოლადი ეჭამა. გაიფიქრა:

–რა კარგია! მე ვისაც ვეცყვი, რომ ძალიან მიყვარს, ისინიც ჩემსავით გამედნიერდებიან.







ზეინეფი საკლასო ოთახში შესვლისას თულაის გვერდით დაჯდა. გაკვეთილის დაწყებისას მასწავლებელმა თქვა, რომ უნდა დაეხატათ. ზეინეფმა თავისი სახატავი ფანქარი თულაის გაუწოდა და უთხრა:



**–მე შენ ძალიან მიყვარხარ, შენ ჩემი საუკეთესო მეგობარი ხარ!**

თულაიც ასევე მოიქცა. ზეინეფს მეორე ხელი ჩასჭიდა და უთხრა:
–მეც ძალიან მიყვარხარ!
ზეინეფს ძალიან გაუხარდა.







იმ დღეს თავისუფალი თამაშის გაკვეთილი ჰქონდათ. თულაიმ და ზეინეფმა სახლობანას თამაში დაიწყეს. უცებ თულაის სათამაშო თოჯინა მიგიდის კიდეში გაეჭედათ. სცადეს მისი გათავისუფლება, მაგრამ ვერ შეძლეს.

ეს ელიფმა დაინახა, მათთან მოვიდა. ბავშვებს დაეხმარა და თოჯინა მაგიდის კიდედან ამოიყვანა.

ზეინეფმა და თულაიმ ელიფს მადლობა გადაუხადეს, თან უთხრეს, რომ ის

ძალიან კარგი მეგობარია.

ელიფი სიხარულით ახტა და თქვა:



– მეც ძალიან მიყვარხართ!







თულაისთან სახლობანას თამაშის შემდეგ ზეინეფი ჩაფიქრდა:

**"ნეტა ახლა ვის ვუთხრა, რომ მიყვარს?"**



კითხვაზე პასუხი მალე იპოვა, რა თქმა უნდა ჩემს მასწავლებელს! ის ძალიან მიყვარს და მინდა გავახარო. ეს თქვა და ადგილიდან წამოხტა. სასწრაფოდ მიირბინა მასწავლებელთან. სუნთქვაშეკრულმა უთხრა:

–ძალიან მიყვარხარ მასწავლებელო!

მასწავლებელს გაეღიმა,

**–ძალიან გამახარე,**
**მეც ძალიან მიყვარხარ!**

–უთხრა მასწავლებელმა.





შემდეგ ზეინეფს კლასების დამლაგებელი დეიდა გაახსენდა. შუქრან დეიდა რამდენს მუშაობს, რომ ჩვენ ჯანმრთელები ვიყოთ, წაიჩურჩულა.



მასთან მივიდა და უთხრა:

–წარმატებას გისურვებ შუქრან დეიდა, ჩვენთვის ბევრს ირჯებით, მე მიყვარხართ!

ზეინეფის ამ სიტყვებმა შუქრან დეიდა ძალიან ააღელვა. თითქოს დაღლილობა გაუქრა.

**–მეც ძალიან მიყვარხარ, შვილო ზეინეფ, –უთხრა მას.**







ბაღში კიდევ ერთი სიყვარულით სავსე დღე დამთავრდა. სახლში დასაბრუნებლად დაიწყეს მზადება. ავტობუსის ლოდინში ზეინეფი სიხარულით იყო სავსე. თულაისაც ვუყვარვარ, ჩემს მეგობარ ელიფს, ჩემს მასწავლებლებსა და შუქრან დეიდასაც... **კიდევ კარგი ვუთხარი, რომ ისინი მეც მიყვარს. როგორ გაუხარდათ!** ფიქრობდა თავისთვის. გაახსენდა დილით როგორ ტიროდა და თავის მეგობრებზე რაც თქვა. შერცხვა და ლოყები გაუვარდისფრდა.







ავტობუსში რომ დასხდნენ, ზეინეფმა ძმას უთხრა:

–ძმაო, დღეს თულაის ვუთხარი, რომ ძალიან მიყვარს. იცი, მასაც ძალიან ვყვარებივარ.

–მეც ვუთხარი ეს ჩემს საყვარელ ადამიანებს.



## რა კარგი გრძნობა ყოფილა, როცა გიყვარს და უყვარხარ!

ეს ჩვენი შუამავლის წყალობით გავაცნობიერეთ. ზეინეფმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. შემდეგ თარიქმა თქვა:

–მაგრამ, ყველაზე მნიშვნელოვანი დამავიწყდა. ყველაზე ახლო მეგობრისთვის მეთქვა, თუ როგორ მიყვარს... აბა თუ გამოიცნობ ვისთვის?









ზეინეფმა ივარაუდა:
ოსმანი, ერენი, ბილალი...
თარიქი უარყოფის
ნიშნად თავს აქნევდა.
ზეინეფი მიხვდა, რომ
ვერ გამოიცნობდა. ძმას
უთხრა:
–ვინც უნდა ის იყოს, მას
ხვალ ეცყვი.



თარიქმა უთხრა:
–მოცდა არცაა საჭირო, თანაც ახლა
ის ჩემს გვერდითაა...

## მიყვარხარ დაიკო!

თქვა და ზეინეფს ლოყაზე
აკოცა.
ერთმანეთს სიყვარულით
გადაეხვივნენ. საღამოსთვის
სიურპრიზი მოიფიქრეს.




Ailemizi Seviyoruz





სახლში მისვლისას,
თარიძი და ზეინეფი
გეგმის განხორციელებას
შეუდგნენ.
ზეინეფმა წითელი
მუყაოსგან გული
გამოჭრა. თარიძმა
ზემოდან დააწერა: ჩვენ,
ჩვენი ოჯახი გვიყვარს. ბარათი
სასადილო ოთახში მაგიდაზე დადეს.
სავახშმოდ მისულ ოჯახის წევრებს მაგიდაზე ბარათი
დახვდათ. ძალიან გაუხარდათ.




**– ჩვენც ძალიან გვიყვარხართ!**

– უთხრეს პატარებს. საჭმელი ხალისით მიირთვეს.







დასაძინებლად რომ წავიდნენ, ზეინეფმა ძმას წასჩურჩულა:
–ძმაო, მე ჩვენი შუამავალი ძალიან მიყვარს!
თარიქიც დაეთანხმა:
–მეც ზეინეფ...

## დღეს მან ჩვენ სიყვარულის მნიშვნელობა გვასწავლა.



დაძინებამდე შუამავლისთვის შეევედრნენ.
ასეთი გამორჩეული და სიყვარულით სავსე წინამძღოლის გამოგზავნისთვის ალლაჰს მადლობა გადაუხადეს. შემდეგ კი ცხვბილად დაიძინეს.





მეგობრებო, მოდით ჩვენთვის საყვარელ ადამიანებს ბარათები მოვუმზადოთ, იმის საჩვენებლად, თუ რამდენად გვიყვარს.

## რა დაგვჭირდება?

– თქვენთვის სასურველი ფერის მუყაოს ქაღალდი
– ფანქარი
– წებო
– მაკრატელი

მუყაოს ქაღალდზე გული დავხატოთ. მუყაოს ქაღალდისგან გამოჭრილი გული სადმე ჩამოვკიდოთ (კედელზე, მაცივარზე, დაფაზე და ა.შ.).





ახლა ამ გულის შესავსებად, პატარა ხვეულები უნდა გავაკეთოთ. ამისთვის, ერთი მუყაოს ქაღალდი ფანქარის ირგვლივ დავახვიოთ. იმისთვის, რომ ხვეული მყარი იყოს, მუყაო დავჭიმოთ.

დახვეული მუყაოს ქაღალდი, ფანქრისგან გავათავისუფლოთ და მაკრატლით დავჭრათ. დაჭრილი პატარა ხვეულები ქილაში შევინახოთ.





საყვარელ ადამიანებს, რომლებსაც ვეცყვით რომ გვიყვარს, გულზე პატარა ხვეული მივაწებოთ.

გულს რომ შევავსებთ, უკანა მხარეს "მიყვარხარ" დავაწეროთ და საყვარელ ადამიანს ვაჩუქოთ.

